1985

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1985

## № 5

მაისი МАЙ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 7/VI-85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VII-85 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა $60 \times 84$; ნაბეჭდი თაბახი 5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4.

შეკვეთა № 487 უე 11187 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 11 აპრილის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## მახარაძის რაიონის მოსწავლეთა თაოსნობის შესახებ

A-5 300

კოლეგია აღნიშნავს, რომ მახარაძის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურად გამოეხმაურა მახარაძის რაიონის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა ინიციატივას, ფართოდ გაშალონ მუშაობა ყინვისაგან დაზიანებულ ციტრუსოვანთა ნარგავების აღსადგენად, ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავთან დაკავშირებით, შინმოუსვლელი თითოეული თანასოფლელი ჯარისკაცის ხსოვნის უკვდავსაყოფად დარგან 5 ძირი ციტრუსის ნერგი. მახარაძელმა მოსწავლეებმა მიმართეს მეციტრუსეობის ზონის სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებს, მხარი დაუჭირონ მათ თაოსნობას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ და თავიანთი წვლილი შეიტანონ საერთო-სახალხო საქმეში, ღირსეულად აღნიშნონ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავი.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნას მახარაძის რაიონის მოსწავლეთა თაოსნობა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისა და ყინვისაგან დაზიანებულ ციტრუსოვანთა ნარგავების აღდგენის საქმეში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობის შესახებ (მიმართვის ტექსტი თან ერთვის).

2. რჩევა მიეცეთ მეციტრუსეობის ზონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კოლექტივებს განიხილონ და მხარი დაუჭირონ მახარაძელ თანატოლთა თაოსნობას.

3. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციას (ამხ. ნ. შველიძე) გააშუქოს მახარაძელ მოსწავლეთა თაოსნობა და მისი მიმდინარეობა.

4. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მახარაძის რაიონის მოსწავლეთა მიმართვა თანატოლებისადმი

ჩვენი რაიონის მოსწავლეები გავეცანით რა მახარაძის სკოლა-ინტერნატის მოზარდთა ინიციატივას, იგი მივიღეთ როგორც სამშობლოსადმი, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი ნორჩი თაობის ერთგულების ნათელი გამოვლინება.

ჩვენ, ვისაც არ გვინახავს შავი ღრუბლებით დაფარული ზეცა, გვტკივა თეთრი ობელისკების გარინდება, მუხლს ვიხრით მამულის დაცვისათვის გმირულად დაცემულთა უკვდავი ხსოვნის წინაშე. ახალგაზრდული მგზნებარებით ვხვდებით ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავს. გვინდა ჩვენი გულების სითბო ხეთა ფესვებით მოგონებად აყვავდეს. ამიტომაც მახარაძის რაიონის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ინიციატივის საპასუხოდ ვიკისრებთ, რომ შინმოუსვლელთა სახელზე თითოეულმა დავრგოთ და აღვადგინოთ 5 ძირი ციტრუსი.

მახარაძის რაიონიდან ფრონტზე წავიდა 11568 ვაჟკაცი; აქედან 6309 არ დაბრუნებულა. მათი ნათელი ხსოვნის უკვდავსაყოფად განსაკუთრებით მონდომებით ვიმუშავებთ ნატანების, ურეკის, შრომის, თხინვალის, კონჭვათის, ლიხაურის და სხვა ციტრუსების ზონის სოფლის მცხოვრები მოსწავლეები. მათ გვერდით დადგებიან მთიანი ზონისა და ქალაქის სკოლის ახალგაზრდები.

დე, შინმოუსვლელთა არდავიწყებით იშრიალოს მარადმწვანე ოქროს ნაყოფმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება

### საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩატარების შესახებ

აღსანიშნავია, რომ წლითიწლობით სულ უფრო იზრდება მოსწავლეთა დაინტერესება რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში ონომასტიკასა და დიალექტოლოგიაში შემკრებლობით-შემოქმედებითი მუშაობის საკითხებით. ამით მოსწავლეები დიდ დახმარებას უწევენ მეცნიერებას აღნიშნული საკითხების სრულყოფილად შესწავლაში, რაზეც ნათლად მეტყველებს საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" შეკრება-სემინარებზე შემოსული საკვლევაძიებო მასალები, რომელთაც სწავლულთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარი ჩატარდეს ქალაქ თბილისში 1985 წლის 7-8 დეკემბერს.

2. საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩატარება დაევალოს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, კომკავშირის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი „ქართული ენის საუნჯის" მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

4. შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილებები საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" რესპუბლიკური შეკრება-სემინარის მოქმედ დებულებაში (დანართი 1).

5. დამტკიცდეს საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 2).

6. ეთხოვოს გაზეთების: „სახალხო განათლების", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის" და „ნორჩი ლენინელის" რედაქციებს გააშუქონ „ქართული ენის საუნჯის" მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის მიმდინარეობის საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერებთან მუშაობის განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდაშვილი).

**კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი O. ქინქლაძე**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 3. ლორთქიფანიძე**

**დანართი 1**

## დებულება

### საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩატარების შესახებ

საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" მე-8 რესპუბლიკურ შეკრება-სემინარს ატარებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებული ქართული ენის კაბინეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კონსულტაციითა და დახმარებით.

დევიზით: ძიება, სწრაფვა, შრომა.

შეკრება-სემინარში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის სკოლებსა თუ სკოლისგარეშე დაწესებულებებთან შექმნილი საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" ფილიალების, პიონერული რაზმებისა და რაზმეულების აქტიური წევრები, მოწინავე მოსწავლეები.

### შეკრების მიზანი

შეკრება-სემინარის მიზანია ხელი შეუწყოს ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, მათი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის ფართოდ გაშლას, სწორი მეთოდური ხელმძღვანელობის საფუძველზე მოსწავლეთა ძალებით შემკრებლობით-შემოქმედებითი მუშაობის წარმოებას ონომასტიკასა და დიალექტოლოგია-ლექსიკოლოგიაში, ბრძოლას დედაენის სიწმინდისათვის, ქართულ ენაში პროგრამით გათვალისწინებული მასალის საფუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანად ათვისებასა და გაღრმავებას (გრამატიკაში სახალისო სავარჯიშოების შესრულების გზით) და სხვ.

ამ მიზნით სკოლებსა თუ სკოლისგარეშე დაწესებულებებში ფილიალების სახით უნდა შეიქმნას ონომასტიკოსთა, ლექსიკოლოგთა, სახალისო გრამატიკის სექციები (უჯრედები) და ენის სიწმინდის დაცვის საგუშაგოები.

მათში გაერთიანებულმა მოსწავლეებმა დაკვირვება უნდა აწარმოონ თანამედროვე ქართული ენის გრამატიკულ აგებულებაზე, ლექსიკა-ფრაზეოლოგიისა და კუთხური სალაპარაკო ენის თავისებურებებზე.

## მოხსენებათა საორიენტაციო თემატიკა

დარგობრივი ლექსიკა — ქართული ენა მდიდარია დარგობრივი ლექსიკით. ძალიან საინტერესოა სხვადასხვა რაიონში გავრცელებული დარგების: მიწათმოქმედების, მესაქონლეობა-მეცხოველეობის, მევენახეობა-მებაღეობის, მებოსტნეობის, მეციტრუსეობის, მეჩაიეობის, თიბვა-მკა-ლეწვის, რწყვის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, მეფრინველეობა-მეთევზეობის, ნადირობის, სახლის აშენების, ბოსლის, სამზადი სახლის თავლის, საბძლის, ურმისა და მისი ნაწილების ზუსტი აღწერა. მარხილის, ცხენოსნობასთან დაკავშირებული ტერმინების, პურის ცხობის, საჭმლის მომზადების , თიხისა თუ ხის ჭურჭლის დამზადების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ტყავის წარმოების, ქსოვის, ბუნებრივი საღებავების, მჭედლობისა და სხვა საქმიანობის ამსახველი მასალები.

მოსწავლე-პიონერთა ძალებით დღემდე ამ საუნჯის მცირე ნაწილია შეკრებილი. ამ მხრივ მუშაობა უნდა გაფართოვდეს.

ნიმუშად გთავაზობთ რამდენიმე საქმიანობის კითხვანს. მსგავსად შეიძლება შემუშავდეს კითხვანი დანარჩენ დარგებთან დაკავშირებით.

პ უ რ ე უ ლ ი ს ლ ე ქ ს ი კ ა — ხვნა-თესვის დრო, როდის იწყება, როდის მთავრდება? სახნავ-სათესი მიწა: რა და რანაირი შეიძლება იყოს მიწა ფერის, ადგილის (ფერდობი, მინდორი) სიმკვრივის მიხედვით?

თ ე ს ვ ა: თესლის დახარისხება. როგორ მიწას როგორი თესლი უხდება?

ყ ა ნ ა: რას ეძახიან ყანას? როგორი შეიძლება იყოს იგი, რისი? სამკალი იარაღები: რას ეძახიან მომკელს, მის დამხმარეს, ძნა და მისი შეგროვება, ძნის დაბინავება.

კალო და ძნის ლეწვა: როგორი და როგორია კალო? როგორ ამზადებენ მას? როგორ ლეწავენ? რა იარაღები აქვთ? რას მღერიან კალოზე? ხორბლის გარჩევა-განიავება და მისი იარაღები. მარცვლის შენახვა, შესანახი ჭურჭელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პურის ცხობა

პურის ნაწარმი, საფქვილე პურჭელი. პურის ცხობისას გამოსაყენებელი იარაღები, ცომის მოზელა, საცხობი (თორნე), გამოცხობილი პურისნაირსახეობანი. კიდევ რა და რა საჭმელი მზადდება ფქვილისაგან. კიდევ რას აცხობენ თორნეში.

## სასმელის დამზადება

არაყი: რისგან და როგორ იხდება? რა იარაღს იყენებენ, რა და რანაირ არაყს ხდიან?

ღვინის დაყენება: პასუხი გაეცეს ამავე კითხვებზე.

ლუდის ხარშვა: პასუხი გაეცეს ამავე კითხვებზე.

ფელამუშის და თათარის მოდუღება.

## თიბვა

როგორია ბალახი (სიმაღლის, ფოთლოვანობის მიხედვით) სათიბი იარაღების სახელები და აღწერა. თივის მოგროვება, აგება, თივის მოტანა და სათანადო იარაღები.

## ცხოველური პროდუქტები

რა მზადდება ხორცისაგან?

რა და როგორ მზადდება რძისაგან (ყველი, მაწონი, კარაქი, ერბო?) დაწვრილებითი აღწერა პროცესისა.

ტყავის ნაწარმი: რას და როგორ ამზადებენ ტყავისაგან?

მატყლი და მატყლის ნაწარმი: პარსვა, პარსვის იარაღები.

მატყლი და მისი ხარისხი სხვადასხვა დროს, მატყლის ჩეჩვა, რთვა, ქსოვა, სათანადო იარაღები.

**შენიშვნა:** ლექსიკური მასალის შეკრებისას საკმარისი არ არის მხოლოდ სიტყვათა აღნუსხვა და მათი მცირე განმარტება, საჭიროა ამ სიტყვის ჩვენება წინადადებაში. ხშირად მოსწავლეებს ჩაწერილი აქვთ ამა თუ იმ დარგის შესახებ მასალა, ლექსიკური ერთეულები კი გამოყოფილი ან განმარტებული არ არის და ამიტომ თემა ეთნოგრაფიული ხასიათისაა.

საჭიროა თემას დაერთოს ანბანთრიგზე დალაგებული, ამ დარგისათვის სპეციფიკური, ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ამავე დროს შედარებული იქნება ლექსიკონებთან.

ზოგჯერ დიალექტური ლექსიკის ნიმუშებში შეტანილია ბარბარიზმებიც, რაც სწორი არ არის.

ნორჩმა ონომასტიკოსებმა უნდა აღნუსხონ სოფლის, დაბის, ქალაქის შიგნით და მათ ირგვლივ მდებარე მცირე გეოგრაფიული ობიექტების ხალხური სახელწოდებანი, მაგალითად:

ჰიდრონიმიკური სახელწოდებანი, რომელთაც ატარებს წყალთან დაკავშირებული ადგილები: ყურე, მეჩეჩი, ტბა, ტბორი, გუბე, წყალსაცავი, ჭა, ჭაობი, ჭანჭრობი; მდინარე (სათავე, შუაწელი, შენაკადი, თუ კი სხვადასხვა სახელწოდება აქვთ). მორევი, ნავმისადგომი, ღელე, ნაკადული, წყარო, რუ, ფშა, ხევი, ხეობა, ჩანჩქერი, ფონი, რიყე, სანაპირო, სათევზაო ადგილი, თევზსაშენი, საბინაო ადგილი, ღელე.

სამიწათმოქმედო ადგილთა სახელები, სადაც მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო შრომა, მიწათმოქმედება, საყანე, ბაღბოსტანი, პლანტაცია, სათიბ-საძოვარი, მდელო, კალო, ნაკალოვარი, ტყე, გზა-ბილიკი.

გეომორფოლოგიურ ადგილთა სახელწოდებები, რომელთაც ატარებს ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტები: მთა, მთაგრეხილი, სერი, გორაკი, ბორცვი, ფერდობი, ხრამი, ხევ-ღელე, ვაკე ადგილი, რიყე, კლდე, უღელტეხილი, ჭიუხი, გამოქვაბული, მღვიმე, გვირაბი, მაღარო და სხვ.

მატერიალური კულტურისა და ბუნების ძეგლთა სახელები, როგორიცაა: ძველი თავდაცვითი ნაგებობა, ციხე, ციხე-კოშკი, ბალავარი, ბურჯი, სასახლე, ტაძარი, ეკლესია, სამლოცველო, ღია ცის ქვეშ მოწყობილი საკულტო დანიშნულების ობიექტი, შეკრების ადგილი, სასაფლაო, სამარხი, ნასახლარი, მიწისქვეშა ხვრელი, გაქვავებული ხე ან ტყე, ნიშანდებული ქვა, ყორღანი, საკულტო სვეტი, წარწერიანი ლოდი.

განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ ტოპონიმების აღნუსხვაზე, რომლებიც დავიწყებას ეძლევა, ვინაიდან აღარ არსებობენ ის ობიექტები, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ.

შემკრებლობითი მუშაობა შეიძლება აწარმოონ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურადაც. სასურველია, მასალა ჩაიწერონ არა ცალკეული თემების მიხედვით, როგორიცაა ჰიდრონიმები, აგრონიმები და სხვ., არამედ კომპლექსურად, ე. ი. ერთდროულად ყველა ზემოდასახელებული თემის შესაბამისად.

მასალის ჩაწერისას აღნიშნონ ადგილის სრული სახელი გარკვევით, ხაზგასმით, ყოველი მათგანი ცალ-ცალკე, მიუთითონ ამ სახელის განსხვავებული გამოთქმაც ან ძველი სახელწოდება. აღნიშნონ რისი სახელია (გორაკის, ხევის, წყაროსი თუ ასე შემდეგ), მოგვცენ ადგილის მოკლე აღწერა (სად მდებარეობს, როგორია, რა დანიშნულება აქვს, რა საგანგებო ნიშნებით იპყრობს ყურადღებას), როგორ და რისთვის იყენებს ხალხი? რატომ შეარქვეს ეს სახელი (ჩაიწერონ ხალხური გადმოცემა, ცნობა, თქმულება, ლეგენდა), ვისგან ჩაიწერა (გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, ხელობა), ვინ ჩაიწერა (გვარი, სახელი, ასაკი, სად სწავლობს).

ჩაიწერონ მცხოვრებთა საკუთარი სახელები, მეტსახელები და გვარები (ანთროპონიმები) გარკვეული სამოსახლო პუნქტების მიხედვით. ამასთან, საგანგებო დაკვირვების საგნად აქციონ ისეთი ერთეულები,

რომლებიც იშვიათი ხმარებისაა, ან ყურადღებას იქცევენ ორიგინალობით, ფორმისა და შინაარსის თავისებურებებით: გვარების შეკრებისას იხელმძღვანელონ ჩვენი კითხვებით, დაასახელონ გვარი (გარკვევით), ამ გვარის საცხოვრებელი ადგილი (დასახლებული პუნქტი და რაიონი, რომელშიაც ის შედის), თავიდან ცხოვრობდნენ ამ გვარის მოსახლენი აქ, თუ სხვა ადგილიდან გადმოვიდნენ, თუ გადმოსულნი არიან, დაასახელონ უწინდებელი საცხოვრებელი და მიუთითონ, კიდევ დარჩნენ იქ თანამოგვარენი თუ არა? კიდევ სად ცხოვრობენ და რომელი პუნქტი (სოფელი, დაბა ან ქალაქი) ითვლება ამ გვარის ძირითად ადგილად (ბუდედ)? ხომ არ შეცვლილა გვარი ფონეტიკურად? საჭიროა აღინიშნოს, ჰქონდათ თუ არა წინაპრებს სხვა გვარი. რა იყო გვარის შეცვლის მიზეზი? დაასახელონ გვარში შემავალი დამატებითი გვარების მქონე შტოები (ე. წ. შტოგვარები), მაგალითად: გობეჯიშვილებისა — ერმოლეენი, გოგეენი და ა. შ.), რა გეოგრაფიული სახელებია წარმოქმნილი განსახილველი გვარის საფუძველზე, მიუთითონ განსახილველი გვარის მქონე კომლთა (ოჯახთა) რაოდენობა, როგორც ძირითად საცხოვრებელ ადგილზე, ისე სხვაგანაც; რა გადმოცემებს, თქმულებებს, ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობებსა და მოსაზრებებს იცნობენ გვარის წარმოქმნაზე და სხვა.

ონომასტიკურ მასალებში ერთიანდება აგრეთვე ცხოველთა სახელები (ზოონიმები) საკულტო ობიექტების სახელები (დღეობათა, წმინდანთა, ღვთაებათა აღმნიშვნელი ტერმინები — თეონიმები), წარმოება-დაწესებულებების (ქარხნები, სატრანსპორტო საშუალებათა, კულტურის კერების, მაღაზიების) და სხვა საკუთარი სახელები.

**შენიშვნა:** ონომასტიკური ერთეულები უნდა დალაგდეს ანბანთრიგზე. საჭიროა, მოსწავლე დააკვირდეს, რომელია გამჭვირვალე ტოპონიმი (თბილისი, მუხრანი...), რომლის ახსნა არ შეიძლება (ონი, ასპინძა...), ზოგი ძირეული სახელია (ბორჯომი, წნორი...), ზოგი წარმოქმნილი (საგარეჯო, ჯავახეთი...) და სხვ., გამოიყოს მაწარმოებლები, მოხდეს დაკვირვება ფონეტიკურ ცვლილებებზე, რომლებიც ტოპონიმურ სახელებშია მომხდარი.

ონომასტიკურ მასალაზე დართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ჩაწერილი უნდა იქნას მთქმელის მეტყველების თავისებურებათა დაცვით.

### შეკრება-სემინარის ორგანიზაცია

ქართული ენით დაინტერესებულთა მუშაობის შეჯამების მიზნით, ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა შეკრება-სემინარი რესპუბლიკის მასშტაბით.

საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" მე-8 რესპუბლიკური სემინარი ჩატარდება თბილისში, 1985 წლის 7-8 დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრება-სემინარის მუშაობაში მონაწილეობის მსურველებმა თავიანთი ნამუშევრები (წერილობით) უნდა წარმოადგინონ ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" სახელზე, არა უგვიანეს 1985 წლის 10 ნოემბრისა.

თავფურცელზე სრულად დააწერონ სახელი, მამის სახელი, გვარი, რაიონი (სოფელი, დაბა), ქალაქი, სკოლა, კლასი, ბინის მისამართი. ნამუშევრის გვერდები დანომრონ. მიუთითონ ხელმძღვანელი მასწავლებლის სახელი, მამის სახელი, გვარი.

საუკეთესო ნამუშევართა ავტორები გამოძახებულნი იქნებიან შეკრება-სემინარის სექციების სხდომებში მონაწილეობის მისაღებად.

**დანართი 2**

**საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის საორგანიზაციო კომიტეტი**

ჭაბაშვილი მიხეილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე

დარჩია მამია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

ხაჩიძე მანონი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

ალავერდაშვილი ანა — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერებთან მუშაობის განყოფილების გამგე

ქლენტი თეიმურაზი — ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

ასათიანი ირინე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

შეროზია რევაზი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი

კირვალიძე მილადა — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ინსპექტორ-მეთოდისტი

გვაზავა კონსტანტინე — ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების გამგე

ხანიაშვილი ნათელა — ბორის ძნელაძის სახელობის პიონერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგე

ჩხაიძე თინათინ — ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქართული ენის კაბინეტის გამგე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 15 აპრილის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 230

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ადმინისტრაციული სახლის სამმართველოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატის ახალ ადმინისტრაციულ შენობაში (კამოს ქ. № 52) გადასვლასთან დაკავშირებით, ამ შენობაში განლაგებული განათლების სამინისტროსა და მთავარი გამოთვლითი ცენტრის შენობა-ნაგებობათა (საერთო ფართობი 5,1 ათასი კვ. მ.) მოვლა-პატრონობისა და სამეურნეო მომსახურების უზრუნველსაყოფად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას 1985 წლის 25 აპრილიდან ადმინისტრაციული სახლის სამმართველო სამეურნეო ანგარიშზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის გამოყოფილი სამმართველო აპარატის რიცხოვნობისა და შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

2. დამტკიცდეს ახლად შექმნილი ადმინისტრაციული სახლის სამმართველოს საწარმოო-საფინანსო გეგმა და საშტატო განრიგი თანახმად დანართებისა.

3. ადმინისტრაციული სახლის სამმართველოს შენახვა მოხდეს განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მთავარი გამოთვლითი ცენტრის შენახვაზე სამეურნეო ხარჯებისათვის დამტკიცებული ასიგნებიდან ურთიერთდადებული ხელშეკრულების საფუძველზე, გადარიცხული თანხების გზით მიღებული შემოსავლების ანგარიშში.

4. განათლების სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსმა (ამხ. ბ. კაციტაძე) შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით ათი დღის ვადაში მოამზადოს ადმინისტრაციული სახლის სამმართველოს დებულება.

5. საგეგმო-საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოებმა (ამხ. ო. კერესელიძე, თ. ბალაშვილი) დროულად მიიღონ ზომები ახლად შექმნილი ადმინისტრაციული სახლის სამმართველოს შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

6. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებასთან (ამხ. ბ. კაციტაძე) ერთად განიხილოს და არსებული წესების მიხედვით დასამტკიცებლად წარმოადგინოს აღნიშნული დაწესებულების ნომენკლატურული მუშაკები.

7. ადმინისტრაციული სახლის სამმართველო ფუნქციონალურად დაექვემდებაროს მინისტრის მოადგილეს ამხ. მ. დარჩიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1985 წლის 31 ივლისის № 20-2/42 წერილი.

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ გა-
ნათლების სამინისტროს კოლეგიის 1935
წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით

# დებულება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ადმინისტრაციული სახლის სამმართველოს შესახებ

## I. საერთო დებულებანი

1. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1985 წლის 15 აპრილის № 230 ბრძანებით განათლების სამინისტროსა და მთავარი გამოთვლითი ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობის, მისი ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ყოფნის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა ადმინისტრაციული სახლის სამმართველო.

სამმართველოს ადგილმდებარეობა, მისამრათი და საფოსტო ინდექსია: თბილისი, 380002, კამოს ქ. № 52.

2. ადმინისტრაციული სახლის სამმართველო თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებებით, ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და სამინისტროს ხელმძღვანელთა მითითებებით.

3. სამმართველო იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, არის იურიდიული პირი, აქვს კუთხოვანი შტამპი და მრგვალი ბეჭედი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

## II. სამმართველოს ძირითადი ამოცანები

4. სამმართველოს ძირთადი ამოცანაა განათლების სამინისტროს და მთავარი გამოთვლითი ცენტრის ადმინისტრაციული შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, შენობის გარე და შიდა იერსახის ესთეტიკური და სანიტარიული მდგომარეობის შენარჩუნება, სანტექნიკური მოწყობილობების და გაყვანილობის, ელექტროქსელის, კავშირგაბმულობის, რადიოსატრანსლიაციო, სავენტილაციო სისტემების, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის და სიგნალიზაციის, შენობისა და მისი ქონების დაცვის საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნის უზრუნველყოფა.

შესაბამის კომუნალურ და სხვა სამსახურებთან ხელშეკრულებების გაფორმება.

5. სამინისტროს აპარატის საჭირო ავეჯითა და სხვადასხვა სამეურნეო ინვენტარით უზრუნველყოფა, მის სწორ ექსპლოატაციაზე კონტროლის დაწესება.

6. სამინისტროში ჩასატარებელი თათბირების, კონფერენციების და სხვა სახის ღონისძიებების ორგანიზაცია. მონაწილეობის მიღება სამუშაო დროის დაგეგმვასა და მის სწორად გამოყენებაში.

7. იგი მოვალეა იცოდეს სამინისტროს სტრუქტურა, ადმინისტრაციული შენობის სწორი ექსპლოატაციის, სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების გაფორმების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების წესები, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი.

8. ადმინისტრაციული სახლის ექსპლოატაციის სამმართველო პასუხისმგებელია მის განკარგულებაში მყოფი შენობის, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებათა მოვლა-პატრონობაზე. იგი ვალდებულია უზრუნველყოს შენობის სწორი ექსპლოატაცია, მისი დროული და ხარისხიანი შეკეთება.

## III. სამმართველოს სტრუქტურა და შტატები

9. სამმართველოს სტრუქტურა და შტატები განისაზღვრება იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც ამ დებულებითაა გათვალისწინებული და მტკიცდება არსებული წესით იმ ლიმიტების ფარგლებში, რომლებიც სამმართველოსათვისაა დადგენილი

10. სამმართველოს ყავს უფროსი, ინჟინერი, რომელიც ითვლება მოადგილედ, უფროსი ბუღალტერი, მოლარე, სანტექნიკოსი, უფროსი ელექტროტექნიკოსი, კავშირგაბმულობის ტექნიკოსი, დურგალი და სხვა მომსახურე პერსონალი საჭიროების მიხედვით, სულ 25 ერთეული, საფინანსო ორგანოების მიერ რეგისტრირებული საშტატო განრიგის მიხედვით.

სამმართველოს უფროსი, ინჟინერი და ბუღალტერი ინიშნებიან თანამდებობაზე და თავისუფლდებიან თანამდებობიდან საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მიერ. დანარჩენი მომსახურე პერსონალი ინიშნება და თავისუფლდება თანამდებობიდან განათლების სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ექსპლოატაციის სამმართველოს უფროსის მიერ.

11. ადმინისტრაციული სახლის სამმართველოს შენახვა მოხდება განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მთავარი გამოთვლითი ცენტრის შენახვაზე სამეურნეო ხარჯებისათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან ურთიერთდადებული ხელშეკრულების საფუძველზე, გადარიცხული თანხების გზით მიღებული შემოსავლების ანგარიშში.

## IV. სამმართველოს ხელმძღვანელობა

12. სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობს მუშაობის ორგანიზაციას, არის სრული პასუხისმგებელი მის მდგომარეობაზე. ინჟინერი (სამმართველოს უფროსის მოადგილე) უზრუნველყოფს შენობის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ყოფნის ხელმძღვანელობას.

ამ დებულების ასლი ინახება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს 1985 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება

## ნორჩ კინომოყვარულთა მე-4 რესპუბლიკური ფესტივალის „თბილისური აისი“ ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ჩატარდეს ნორჩ კინომოყვარულთა მე-4 რესპუბლიკური ფესტივალი „თბილისური აისი“ 1985 წლის 1—6 ნოემბერს ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაზაზე.

2. დამტკიცდეს ნორჩ კინომოყვარულთა მე-4 რესპუბლიკური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი.

3. დაევალოს კინემატოგრაფისტთა კავშირის კინომოყვარულთა სექციას ფესტივალის დღეებში ჩაატაროს სემინარები კინომოყვარულთა სტუდიების ხელმძღვანელთათვის.

4. ფესტივალის დღეებში მოეწყოს საკონკურსო ფილმების საჯარო განხილვები.

5. ნება დაერთოს ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს ნორჩ კინომოყვარულთა მე-4 რესპუბლიკური ფესტივალის მონაწილეების კვების, სასტუმროსა და კულტურული მომსახურების ხარჯები გაიღოს საკუთარი ბიუჯეტიდან.

6. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერებთან მუშაობის განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდაშვილი), საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის კინომოყვარულთა სექციას (ამხ. მ. კიტია).

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. ქინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
ვ. ლორთქიფანიძე

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი ე. შენგელაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

E-5300

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებისა და დანიშნულებით გამოცხადების მდგომარეობის შესახებ

1984 წელს სახელმწიფო გეგმის მიხედვით განათლების სამინისტროს სისტემაში უნდა განაწილებულიყო 2510 უმაღლესი და 383 საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი. მოთხოვნა კადრებზე შეადგენდა 1612, ფაქტიურად განაწილდა 1539 უმაღლესი და 321 საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი. სოფლის სკოლების მასწავლებელთა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღმზრდელების ადგილებზე დამაგრების მიზნით ახალგაზრდა სპეციალისტთა სამუშაოზე განაწილება, შესაძლებლობის შემთხვევაში, ხორციელდებოდა მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 1984 წელს ამ პრინციპით რესპუბლიკის რაიონებში გაიგზავნა 744 უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი, ხოლო განაწილებულ 1539 სპეციალისტიდან სოფლის სკოლებში — 766 სპეციალისტი. განაწილებულ 1539 კაციდან სამუშაოზე არ გამოცხადდა 426 სპეციალისტი, ამიტომ, 1984—1985 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის სკოლებს აკლდა სხვადასხვა სპეციალობის 496 მასწავლებელი.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სკოლების რუსული ენის მასწავლებლებით უზრუნველყოფის საქმეში. გეგმით გათვალისწინებული 321 სპეციალისტის ნაცვლად განაწილდა 228, ხოლო ფაქტიურად სამუშაოზე გამოცხადდა 170. ამიტომ, განათლების სამინისტრო იძულებული გახდა განათლების განყოფილებათა გამგეებისათვის, თითოეული კონკრეტული შემთხვევის ანალიზის საფუძველზე, ნება დაერთო აღნიშნული საგნის მასწავლებლებად დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა, პენსიონერთა, გასაუბრების შედეგად რუსული სკოლების კურსდამთავრებულთა დანიშვნაზე.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე ახალგაზრდა სპეიცალისტთა განაწილების გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებლები ისეთი საგნების მასწავლებელთა განაწილების საქმეში, როგორიცაა უცხო ენები, ხატვა-ხაზვა, გეოგრაფია, შრომითი სწავლება, სიმღერა-მუსიკა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკაში თითქმის არ მზადდებიან სპეციალისტები რუსული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის.

ყველაფერმა ამან სიძნელეები შექმნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამუშაოზე გამოცხადებულ სპეციალისტე-ბიდან 43 გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, რამაც განაპირობა ქალაქის სკოლებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა ნაკლებობა,.

კვლავ ადგილი აქვს, აგრეთვე, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ განათლების სამინისტროს სისტემაში განაწილებულ სპეიცალისტთა სამუშაოზე მიღების შემთხვევებს. კერძოდ, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის 5 კურსდამთავრებული, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განაწილდნენ, ამჟამად სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობენ.

მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, კვლავ ადგილი აქვს ინსტიტუტებში განათლების განყოფილებათა მიერ კერძო მოთხოვნების ხელზე გაცემას (ამბროლაური, ბორჯომი, თელავი, თიანეთი, სიღნაღი, ყვარელი).

რესპუბლიკაში ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებისა და დანიშნულებით გამოცხადების საქმეში გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების, ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებისა და ადგილზე გამოცხადების საქმის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახონ შესაბამისი ღონისძიებანი;

1. 2. დროულად გაატარონ ღონისძიებები ყველა სპეციალობის მასწავლებლებზე დამატებითი მოთხოვნების გამოსავლინებლად, არ დაუშვან ახალგაზრდა სპეციალისტებზე დაუსაბუთებელი განაცხადების წარმოდგენა, მომართვებისა და შუამდგომლობების ხელზე გაცემა;

1. 3. უზრუნველყონ განათლების სამინისტროში პედაგოგიურ კადრებზე განაცხადების წარმოდგენა სკოლის, სასწავლო დატვირთვისა და ახალგაზრდა სპეციალისტების დანიშვნისათვის საჭირო სხვა აუცილებელი მონაცემების ჩვენებით, ყოველი წლის 15 იანვრისათვის;

1. 4. ყოველი წლის 10 სექტემბრისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ წერილობითი ანგარიში, ხოლო უნივერსიტეტებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებს დადგენილი ფორმით აცნობონ ახალგაზრდა სპეციალისტების დანიშნულებით გამოცხადების შესახებ;

1. 5. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებიდან 3 წლის გასვლამდე არ მიიღონ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომელთაც არ ექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებათ განაწილების მოწმობა, ან გამანაწილებელი კომისიის მიერ გაცემული ცნობა (ფორმა № 3) დამოუკიდებლად მოწყობის უფლების შესახებ;

1. 6. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის რაიონებში განაწილებულ დამწყებ მასწავლებელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, დააწესონ მკაცრი კონტროლი კანონით გათვალისწინებული შეღავათების რეალიზაციის საკითხებზე.

2. ახალგაზრდა სპეციალისტების პერსონალური განაწილების საქმეში დაშვებული დარღვევებისათვის, ინსტიტუტებში გაგზავნილ და ხელზე მოთხოვნების გაცემისათვის ამბროლაურის, ბორჯომის, თელავის, თიანეთის, სიღნაღის, ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს (ამხ. ამხ. ს. ცირიკიძე, გ. ჩადუნელი, ა. თვალიაშვილი, ვ. ობგაიძე, რ. ბეჟაშვილი, ზ. იოსებაშვილი) მიეცეთ შენიშვნა.

3. ეთხოვოს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს:

3. 1. გააძლიეროს კონტროლი ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებისა და დანიშნულებით გამოცხადების საკითხის მოსაგვარებლად;

3. 2. კონკურსგარეშე ლიმიტების გამოყოფა მინსკის პედაგოგიურ ინსტიტუტში სპეციალობით „რუსული ენა ნაციონალურ სკოლებში";

3. 3. გაითვალისწინოს უცხოური ენების ინსტიტუტში ორპროფილიანი სპეციალობის „გერმანული ენა—რუსული ენა და ლიტერატურა" შემოღება;

3. 4. რესპუბლიკის რუსული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებულ იქნას ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელსა და ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დამატებით (თითო ჯგუფი მაინც) სპეციალისტების მომზადება რუსულ ენაზე სწავლებით.

4. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კადრების სამმართველოს (ამხ. ა. ვაჩნაძე).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება

## ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა გამოვლენის, აღრიცხვისა და სწავლაში ჩაბმის მიზნით სახალხო განათლების ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის დადგენილების „გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე პირთა სწავლის, შრომითი მოწყობისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ანომალურ ბავშვთა გამოვლენის, აღრიცხვისა და სწავლაში ჩაბმის მიზნით.

დადგენილების შემდგომ პერიოდში გაიხსნა და წარმატებით ფუნქციონირებს ცერებრალური დამბლითა და პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებით, სკოლიოზით, მეტყველებაში მძიმე დარღვევებისა და ფსიქიურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვთა სპეციალური სკოლები და სკოლა-ინტერნატები.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა არსებული სპეციალური სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მატერიალური ბაზა და ტექნიკური აღჭურვილობა, მხოლოდ უკანასკნელ სამ წელიწადში რესპუბლიკაში ოთხი ახალი შენობა აიგო.

გაუმჯობესდა ზონალური და რესპუბლიკური სამედიცინო-პედაგოგიური კომისიების მუშაობის სტილი და მეთოდები, უფრო ეფექტური გახდა მათი საქმიანობა.

ამაღლდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი, გაიზარდა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, მოსამზადებელ და 1-ლ კლასებში მინიმუმამდე დავიდა ასაკგადაცილებულ მოზარდთა ჩარიცხვის შემთხვევები.

ამასთან, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა აღრიცხვის, დიაგნოსტიკისა და სწავლებაში მათი ჩაბმის საქმეში ჯერ კიდევ აღინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები, რაც ძირითადად სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით, ანომალურ ბავშვთა მშობლების არასათანადო პედაგოგიზაციისა და ზოგიერთი ზონალური სამედიცინო-პედაგოგიური კომისიების არაკომპეტენტურობით აიხსნება.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, მთელი რიგი რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა აღრიცხვის, დიაგნოსტიკისა და სწავლებაში მათი ჩაბმის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად განათლების სამინისტროს არაერთი მითითებისა, ჭიათურის, თელავის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, ლენტეხის, წყალტუბოს, მესტიისა და ბოლნისის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებიდან კვლავინდებურად იგზავნება დაუზუსტებელი ცნობები, რომლებშიაც მითითებული არ არის სმენის, მხედველობისა და გონებრივი ჩამორჩენის ზუსტი ხარისხი, რაც შეუძლებელს ხდის ამ კატეგორიის ბავშვთა კონტინგენტის დადგენასა და სწავლებაში მის ჩაბმას..

საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია ისიც, რომ ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როდესაც გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვები მასობრივ სკოლებში სწავლობენ.

არის შემთხვევები, როდესაც კომისიაზე იგზავნებიან IV-V-VII-VIII კლასების გონებრივად ჩამორჩენილი და სხვადასხვა ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვები, რაც ხელს უშლის აღსაზრდელთა ძირითადი ნაკლის დროულ კორექციას, დაბლა სწევს რესპუბლიკაში აკადემიური მოსწრების საერთო მაჩვენებლებს, აფერხებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ იქნა ფაქტები, როდესაც სამედიცინო პედაგოგიური კომისიის მიერ დადგენილი დიაგნოზით „გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობა დებილობის ფარგლებში“ ბავშვები სწავლას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აგრძელებენ: ჭიათურის რაიონის სოფელ სხვიტორის საშუალო სკოლა, ლაგოდეხის რაიონის მე-3 საშუალო სკოლა, თელავის რაიონის სოფელ ბუშეთის საშუალო სკოლა, გურჯაანის რაიონის სოფელ ბულღურჯიანის სკოლა, საგარეჯოს რაიონის სოფელ ბოგდანოვკის საშუალო სკოლა, ქ. რუსთავის მე-19 და მე-20 საშუალო სკოლები და სხვა.

აღნიშნული გარემოება იმაზე მიგვანიშნებს, რომ სახალხო განათლების განყოფილებებთან შექმნილი სამედიცინო-პედაგოგიური კომისიები ხშირ შემთხვევაში ფორმალურად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, არა აქვთ დაზუსტებული ცნობები მათ რაიონში, ზონაში არსებული ფიზიკური და გონებრივი ნაკლის აღსაზრდელთა შესახებ. არაკვალიფიციურად ავსებენ ბავშვთა გამოკვლევის რუკებს, ყოველთვის არ ხელმძღვანელობენ არსებული დებულებითა და სპეცსკოლებში ბავშვთა ჩარიცხვის ინსტრუქციით, უშვებენ დიაგნოსტიკურ შეცდომებს, რაც თავის მხრივ იწვევს შეცდომებს მოზარდის შემდგომი აღზრდის საკითხის სწორად გადაწყვეტაში.

მოქმედი დებულების უხეში დარღვევით არის დაკომპლექტებული ზოგიერთი ზონალური სამედიცინო-პედაგოგიური კომისია. კომისიის შემადგენლობაში ხშირად არ ყავთ ფსიქიატრი, ფსიქონევროლოგი, ფსიქოლოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა გამოვლენის, აღრიცხვის და სწავლაში ჩაბმის არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. განიხილონ და გააანალიზონ აღნიშნული გადაწყვეტილება კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა გამოვლენის, აღრიცხვისა და მათი სწავლაში ჩაბმის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

1. 2. ამ მიმართებით თავიანთ საქმიანობაში იხელმძღვანელონ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტებით, როგორიცაა: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის დადგენილება „გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე პირთა სწავლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და ამ დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 547 ბრძანება (23.07.75), სსრკ განათლების სამინისტროს „რესპუბლიკური და საოლქო სამედიცინო-პედაგოგიური კომისიების შესახებ“ დებულებით და შესაბამისი ინსტრუქციით „გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სპეციალურ სკოლებში მიღების შესახებ“;

1. 3. ერთი თვის ვადაში ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით, უზრუნველყონ გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა გამოვლენა, აღრიცხვა და მომავალი სასწავლო წლიდან სწავლაში ჩაბმა ნაკლის დროული კორექციისა და სწორად აღზრდის უზრუნველყოფის მიზნით;

1. 4. მკაცრი კონტროლი დააწესონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველი, მეორე კლასების ძნელად ამთვისებელ და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებზე, მათი აკადემიური ჩამორჩენილობის მიზეზის დადგენის მიზნით, დროულად გაატარონ ისინი სამედიცინო-პედაგოგიურ კომისიებზე. გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა ანომალიურ ბავშვთა მშობლების პედაგოგიზაციის მიმართებით, ფართო პროპაგანდა გაუწიონ მოსახლეობას ანომალიურ ბავშვთა ნაადრევ ასაკში სპეცსკოლებში დროული ჩაბმის მნიშვნელობის შესახებ.

1. 5. არ დაუშვან მასიურ სკოლებში იმ აღსაზრდელთა სწავლა, რომლებიც თავიანთი ფიზიკური და გონებრივი ნაკლის გამო სპეციალურ სკოლებში სწავლებას ექვემდებარებიან. მკაცრი მსჯელობის საგნად გახადონ თითოეული შემთხვევა;

1. 6. გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სამედიცინო-პედაგოგიური კომისიების მუშაობაზე, ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, უფრო ქმედითი და აქტიური გახადონ მათი საქმიანობა, შეუქმნან მათ აუცილებელი პირობები ბავშვთა კომპლექსური გამოკვლევისათვის;

1. 7. უზრუნველყონ სამედიცინო-პედაგოგიური კომისიები გამოკვლევისათვის საჭირო აპრობირებული მასალით;

1. 8. ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად (საჭიროების შემთხვევაში) გადაახალისონ რაიონში, ქალაქში არსებული სამედიცინო-პედაგოგიური კომისიები, შეიყვანონ მასში „რესპუბლიკური და საოლქო სამედიცინო-პედაგოგიური კომისიების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

2. რესპუბლიკურმა სამედიცინო-პედაგოგიურმა კომისიამ (ამხ. რ. ხუხაშვილი):

2. 1. მკაცრი კონტროლი დააწესოს საოლქო და ზონალური სამედიცინო-პედაგოგიური კომისიების მუშაობაზე, დასახოს კონკრეტული ღონისძიებები ანომალურ ბავშვთა გამოვლენისა და აღრიცხვის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს რესპუბლიკურ მედიკო-პედაგოგიურ კომისიაზე იმ აღსაზრდელთა ხელმეორედ გატარება, რომელთა მიმართ დაშვებული იყო დიაგნოსტიკური შეცდომები;

2. 2. უზრუნველყოს საოლქო, ზონალური სამედიცინო-პედაგოგიური კომისიებისადმი სისტემატური პრაქტიკული დახმარება რესპუბლიკაში ანომალურ ბავშვთა გამოვლენის, აღრიცხვისა და სპეციალურ სკოლებში (სკოლა-ინტერნატებში) მათი ჩაბმის უზრუნველსაყოფად.

3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ სკოლების დირექტორებს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს, ხოლო კონტროლი მის შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსს ამხ. ჰ. თუთბერიძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 18 აპრილის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამდებობათა ნომენკლატურის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში კადრებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფის, ნომენკლატურულ მუშაკთა შერჩევა-განაწილებისადმი ყურადღების გაძლიერების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა-წ ყ ვ ი ტ ა:

1. 1985 წლის 1 მაისიდან მოქმედებაში შევიდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამდებობათა ახალი ნომენკლატურა (დანართი 2, 3).

2. დამტკიდეს ინსტრუქცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნომენკლატურის თანამდებობებზე მუშაკთა დანიშვნის (განთავისუფლების) წესის შესახებ (დანართი 1).

3. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნომენკლატურის თანამდებობებზე კადრების შერჩევისას მკაცრად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 20 აპრილის № 247 ბრძანებით „განათლების დაწესებულებათა ხელმძღვანელი და პედაგოგიური მუშაკების თანამდებობათა საკვალიფიკაციო დახასიათებების შესახებ".

4. ნომენკლატურული მუშაკის თანამდებობიდან განთავისუფლების პროექტთან და სხვა მასალებთან ერთად ვაკანტურ ადგილზე დასანიშნად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წარმოადგინონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებული კანდიდატურა.

5. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) წარუდგინოს კოლეგიას საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ნომენკლატურის თანამდებობებზე დასანიშნი მუშაკები, ხოლო მინისტრის მოადგილეს კადრების დარგში შესაბამისი სამმართველოს ან განყოფილების უფროსთან ერთად პირები, რომლებიც ინიშნებიან მინისტრის მოადგილის ნომენკლატურის თანამდებობებზე და აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნომენკლატურის თანამდებობებზე მუშაკთა დანიშვნის (განთავისუფლების) წესის შესახებ ინსტრუქციით გათვალისწინებული აუცილებელი საბუთები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოს ნომენკლატურაში შემავალ მუშაკებზე აუცილებელი დოკუმენტაციის შენახვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნომენკლატურის თანამდებობებზე მუშაკთა დანიშვნის (განთავისუფლების) წესის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად.

მუშაკთა დანიშვნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნომენკლატურაში შემავალ თანამდებობებზე უნდა გაფორმდეს ინსტრუქციის შესაბამისად მინისტრის ან კადრების დარგში მინისტრის მოადგილის ბრძანებით.

6. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეების მდივნების, ქვედანაყოფების მდივან-მემანქანეების, საქმისმწარმოებლების, მემანქანეთა ბიუროს და კანცელარიის მუშაკების, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატის მომსახურე პერსონალის დანიშვნა და განთავისუფლება ხორციელდება კადრების სამმართველოს უფროსის მიერ ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა წარდგინებით და ფორმდება კადრების სამმართველოში.

7. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კადრების სამმართველოს (ამხ. ა. ვაჩნაძე).

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1983 წლის 19 იანვრის № 26 ბრძანება „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამდებობათა ნომენკლატურისა და ამ ნომენკლატურის მუშაკთა დანიშვნისა და განთავისუფლების წესის შესახებ“.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების დანართი 1

# ინსტრუქცია

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნომენკლატურის თანამდებობებზე მუშაკთა დანიშვნის (განთავისუფლების) წესის შესახებ

1. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ნომენკლატურის თანამდებობებზე მუშაკთა დანიშვნა და, აგრეთვე, ამ თანამდებობებიდან მათი გათავისუფლება ხდება კოლეგიის რეკომენდაციის საფუძველზე მინისტრის ბრძანებით.

2. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ნომენკლატურის თანამდებობებზე მუშაკთა მიღების ან ამ თანამდებობებიდან მათი განთავისუფლების შესახებ საკითხის კოლეგიაზე გასატანად, შესაბამისი სამმართველოს ან განყოფილების უფროსს კადრების სამმართველოში შეაქვს მოტივირებული წინადადებები (ცენტრალური აპარატის მუშაკებზე პარტიულ და პროფკავშირულ ოგანიზაციებთან შეთანხმებული) შრომის კანონმდებლობის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით. მუშაკის თანამდებობიდან გათავისუფლებისას საჭიროა დამატებით აღინიშნოს წინადადებები, რომლებიც ეხება თანამდებობიდან გასათავისუფლებელი მუშაკის შრომითს მოწყობას.

3. თანამდებობაზე დანიშვნის წარდგინებას თან ერთვის: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დახასიათება, საბუთების ასლები განათლების შესახებ, დიპლომის ასლები მინიჭებული სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო წოდებების შესახებ. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ ეგზემპლარად, ხოლო სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებზე ორ ეგზემპლარად.

4. მუშაკს თანამდებობაზე დანიშვნის ან განთავისუფლების საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება მხოლოდ შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემდეგ.

5. კადრების დარგში საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილის ნომენკლატურის მუშაკთა სამუშაოზე დანიშვნისა და განთავისუფლების წესი იგივეა, რაც მინისტრის მიერ დანიშნული ან განთავისუფლებული მუშაკებისათვის იმ განსხვავებით, რომ მინისტრის მოადგილის მიერ დანიშნული ან განთავისუფლებული მუშაკის საკითხი კოლეგიაზე არ განიხილება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების დანართი 2

# ნომენკლატურა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იმ მუშაკთა თანამდებობებისა, რომლებიც ინიშნებიან ან თავისუფლდებიან საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მიერ

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატი

— обеспечение туристским снаряжением и инвентарем (Основание: решение коллегии МП ГССР № 14, пункт 6.2 от 9 августа 1984 г.).

## IX. Подведение итогов и награждение

Подведение итогов соревнований проводится по двум возрастным группам. Победители в возрастных группах определяются по каждому виду программы финальных соревнований.

Победителем соревнований в комплексном зачете в каждой возрастной группе является туристская группа, набравшая наименьшую сумму мест в зачетных видах соревнований. В случае равенства по сумме мест предпочтение отдается туристской группе, имеющей лучший результат по виду «Туристская

техника. В случае и этого равенства победитель определяется по лучшему результату в стрелковых соревнованиях.

Туристская группа, не участвующая в одном или более зачетных видах соревнований занимает место в комплексном зачете после групп, имеющих более полный зачет.

Победители соревнований по незачетным видам определяются в соответствии с условиями проведения незачетных видов программы.

Туристские группы, занявшие в комплексном зачете первые места, награждаются кубками и дипломами первой степени, вторые и третьи места — соответствующими призами и дипломами.

Туристские группы, занявшие призовые места в отдельных видах программы соревнований, награждаются дипломами соответствующих степеней.

Команды-победительницы по пулевой срельбе в своих возрастных группах награждаются памятными призами и дипломами I степени ЦК ДОСААФ ГССР.

Победители незачетных видов соревнований награждаются грамотами.

Команды победители в военизированном кроссе награждаются дипломами I степени ЦК ДОСААФ СССР.

Участники и руководители туристских групп, занявших призовые места, награждаются грамотами.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПРИЛОЖЕНИЕ I

**III этап зональных X республиканских туристских соревнований и смотра оборонно—массовой работы пионеров и школьников Грузинской ССР**
**(зоны и входящие в них города)**

I зона
Тбилиси

1. Ленинский район
2. Первомайский район
3. Калининский район
4. Орджоникидзевский район
5. Кировский район
6. Район 26-ти Комиссаров
7. Октябрьский район
8. Заводской район
9. Глданский район
10. Сабурталинский район

II зона
Кутаиси

1. Цхалтубо
2. Вани
3. Маяковский
4. Лентехи
5. Цагери
6. Амбролаури
7. Они
8. Цулукидзе
9. Самтредия
10. Кутаиси, Ленинский район
11. Кутаиси, Автозаводской район
12. Чиатура
13. Ткибули
14. Сачхере
15. Харагаули
16. Терджола
17. Зестафони

III зона
Сухуми

1. Гагра
2. Гудаута
3. Сухумский район
4. Гульрипши
5. Очамчире
6. Ткварчели
7. Гали

IV зона
Гардабани

1. Тианети
2. Тетрицкаро
3. Болниси
4. Марнеули
5. Цалка
6. Дманиси
7. г. Рустави

ეროვნული ბიბლიოთეკა

V зона
Батуми

1. Батуми
2. Кобулети
3. Кеда
4. Хуло
5. Шуахеви
6. Хелвачаури
7. Махарадзе
8. Чохатаури
9. Ланчхути

VI зона
Цхинвали

1. г. Цхинвали
2. Цхинвальский район
3. Знаури
4. Джава
5. Ленингори

VII зона
Лагодехи

1. Лагодехи
2. Гурджаани
3. Кварели
4. Телави
5. Ахмета
6. Сагареджо
7. Сигнахи
8. Цителцкаро

VIII зона
Цхакая

1. Цхакая
2. г. Поти
3. г. Зугдиди
4. Зугдидский район
5. Цаленджиха
6. Чхороцку
7. Местия
8. Хоби
9. Гегечкори
10. Абаша

IX зона
Гори

1. г. Гори
2. Горийский район
3. Каспи
4. Карели
5. Мцхета
6. Душети
7. Хашури
8. Казбеги
9. Ахалцихе
10. Аспиндза
11. Ахалкалаки
12. Богдановка
13. Адигени
14. Боржоми

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение 2

**Список Организационного комитета по проведению Х республиканских соревнований по туризму и смотра оборонно-массовой работы пионеров и школьников Грузинской ССР, посвященных 40—летию Победы советского народа в Великой Отечественной войне**

1. Дарчия М. Д. — Председатель оргкомитета, заместитель Министра просвещения ГССР
2. Хачидзе М. И. — заместитель Председателя оргкомитета, Секретарь ЦК ЛКСМ Грузии
3. Чхаидзе Т. Д. — заместитель Председателя оргкомитета, заместитель Председателя ЦК ДОСААФ ГССР
4. Ачба В. К. — заместитель Председателя оргкомитета, заместитель Председателя ГРС по туризму и экскурсиям
5. Арчвадзе А. Р. — Секретарь оргкомитета, заведующий Отделом ЦДЭТС МП ГССР

Члены:

1. Заркуа Э. А. — начальник Управления воспитательной работы Министерства просвещения ГССР
2. Кучерова—Нинидзе С. М. — заместитель Министра просвещения Абхазской АССР
3. Самхарадзе Д. И. — директор ЦДЭТС Министерства просвещения ГССР
4. Петелава П. В. — директор ОДТС Министерства просвещения Абхазской АССР
5. Хунтуа З. И. — заместитель Председателя БММТ «Спутник» ЦК ЛКСМ Грузии
6. Хомерики А. Э. — старший референт БММТ «Спутник» ЦК ЛКСМ Грузии
7. Яблоновский Г. А. — старший инструктор Отдела Тл. ВПВЕ ЦК ДОСААФ ГССР
8. Бобохидзе О. Н. — заведующий Отделом туручреждений, маршрутов и самодеятельного туризма ГРС по туризму и экскурсиям

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. Саталкин В. В — старший инструктор Отдела туручреждений, маршрутов и самодеятельного туризма ГРС по туризму и экскурсиям

10. Лабахуа Р. А. — заместитель Председателя Абхазского облсовета по туризму и экскурсиям

11. Усов Н. П. — Председатель ОК ДОСААФ Абхазской АССР

12. Донцова Л. М. — Секретарь ОК ЛКСМ Абхазской АССР

13. Элбакян Н. Р. — начальник КСС ГРС по туризму и экскурсиям

**Приложение 3**

**Численнный состав делегаций команд—участниц победителей зональных соревнований**

| № п/п | Наименование зон | Количество старших групп | Колич. младших групп | Колич. учащихся | Количество руководителей | Всего человек |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | Тбилиси | | 1 | 24 | 4 | 28 |
| 2. | Кутаиси | | 1 | 24 | 4 | 28 |
| 3. | Сухуми | | 1 | 24 | 4 | 28 |
| 4. | Батуми | | 1 | 24 | 4 | 28 |
| 5. | Цхинвали | | 1 | 24 | 4 | 28 |
| 6. | Гардабани | | 1 | 24 | 4 | 28 |
| 7. | Лагодехи | | 1 | 24 | 4 | 28 |
| 8. | Цхакая | | 1 | 24 | 4 | 28 |
| 9. | Гори | | 1 | 24 | 4 | 28 |
| | | 9 | 9 | 216 | 36 | 252 |

Приложение 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Организационному комитету X республиканских туристских соревнований и смотра оборонно-массовой работы пионеров и школьников Грузинской ССР

## Предварительная заявка

. . . , , , , , районный (городской) отдел народного образования просит допустить к финалу X республиканских соревнований и смотра оборонно- массовой работы пионеров и школьников Грузинской ССР туристские команды-победители . . . . , , , зонального туристского соревнования 1985 г.

### Младшая возрастная группа:

Туристская команнда средней школы . . . , , , , , района (города)

Руководители:

1.

2.

Старшая возрастная группа:

Руководители:

1.

2.

Заведующий отделом народного образования . . . , района (города)

М. П.

Председатель районного (городского) Совета по туризму

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**Главная судейская коллегия X республиканских туристских соревнований и смотра оборонно-массовой работы пионеров и школьников Грузинской ССР**

## З А Я В К А

Средняя школа . . . , , , , района просит допустить к финалу соревнования туристские команды в составе:

| Ф. И. О. Год рождения | Пол | Класс | Спортивная квалификация | Домашний адрес | Подпись врача и печать врачебно-физкультурной комиссии |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 12. | | | | | |

Руководитель группы

Руководитель группы

Печать

школы

Подпись директора школы и

Председателя районного (городского)

Совета по туризму

Печать врачебно-физкультурной комиссии и подпись врача

Приложение 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Примерный список личного и группового туристского снаряжения и инвентаря

| №№ п/п | Наименование | количество |
|---|---|---|
| I. | Шапочка шерстяная | I шт. |
| 2. | Шапочка от солнца | I шт. |
| 3. | Очки солнцезащитные | I шт. |
| 4. | Белье нижнее | 2 комп. |
| 5. | Рубашка | I шт. |
| 6. | Рубашка байковая | I шт. |
| 7. | Свитер шерстяной | I шт. |
| 8. | Штормовка или куртка | I шт. |
| 9. | Костюм спортивный | I шт. |
| I0. | Рейтузы | I шт. |
| II. | Носки | 2 пары |
| I2. | Носки шерстяные | 2 пары |
| I3. | Носки синтетические | 2 пары |
| I4. | Крассовки или кеды | I пара |
| I5. | Ботинки на рифленой подошве «Вибрам» | I пара |
| I6. | Туалетные принадлежности | I комп. |
| I7. | Записная книжка, ручка, карандаш | I комп. |
| I8. | Столовый набор | I комп. |
| I9. | Рюкзак | I шт. |
| 20. | Спальный мешок | I шт. |
| 2I. | Паралон (60хII0см) | I шт. |
| 22. | Фонарик | I шт. |
| 23. | Альпеншток | I шт. |

| №№ п/п | Наименование | Количество |
|---|---|---|
| II. | Группового (из расчета на I4 чел.) | |
| I. | Палатки | 5 шт. |
| 2. | Кастрюли: 8 л. | I шт |
| | 6 л. | I шт. |
| 3. | Примус «ШМЕЛЬ» | 2 шт. |
| 4. | Кухонные принадлежности | I шт. |
| 5. | Тент для палаток | 5 шт. |
| 6. | Аптечка | I шт. |
| 7. | Фотопринадлежности | 2 компл. |
| 8. | Спички | 20 шт. |
| 9. | Сухой спирт | I0 брик. |
| I0. | Канистры для бензина | 2 x 2 л |
| II. | Компас жидкостной | 4 шт. |
| I2. | Планшет | 2 шт. |
| I3. | Набор цветных карандащей | 2 компл. |
| I4. | Свечи | I6 шт. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 18 აპრილის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 274

### სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის დადგენილების „საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებათა თაობაზე“ განხორციელების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის დადგენილების „საშუალო სასწავლო დაწესებულებათა მოსწავლეების კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ და სსრკ განათლების მინისტრის 1985 წლის 7 თებერვლის № 13-მ ბრძანების შესრულების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სწავლება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების IX კლასებში შემოღებულ იქნას 1985—1986 სასწავლო წლიდან.

2. დამტკიცდეს „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სახელმძღვანელოს ავტორთა კოლექტივი (სია თან ერთვის);

2. 1. დაევალოს ავტორთა კოლექტივს ა/წლის 1 ივნისისათვის მოამზადოს „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ ექსპერიმენტული დამხმარე სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX კლასებისათვის, ხოლო 1 ივლისამდე — მასწავლებელთათვის შესაბამისი მეთოდიკური რეკომენდაციები.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი):

3. 1. შეიტანოს სათანადო ცვლილებები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო გეგმაში;

3. 2. უზრუნველყოს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების ინფორმირება 1985—1986 საწავლო წლიდან IX კლასებში „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლების შემოღების შესახებ;

3. 3. განათლების სამინისტროს მთავარ გამოთვლით ცენტრთან ერთად მოამზადოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულების პროექტი რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების გამოთვლითი ცენტრების ბაზაზე 1985—1986 სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმა-

ნათლებლო სკოლების IX-X კლასებში შრომითი სწავლების საათების ხარჯზე გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებისა და პროგრამირების სწავლების შემოღების შესახებ.

3. 4. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად (ამხ. შ. ამონაშვილი) ა/წლის 1 მაისამდე გამოსაცემად მოამზადოს „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ პროგრამა.

4. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კომპიუტერების გამოყენების პრობლემებისა და ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ შეიტანოს სათანადო ცვლილებები სამუშაო გეგმაში ახალი საგნის სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით.

5. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) უზრუნველყოს:

5. 1. „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სახელმძღვანელოს გამოცემა ა/წლის 15 ივლისამდე და მისი სკოლებამდე დაყვანა;

5. 2. „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლების მეთოდური რეკომენდაციების 1 ივლისამდე გამოცემა;

5. 3. „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ რუსული სახელმძღვანელოს დაკვეთა და შემოტანა რესპუბლიკის რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების IX კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის შესაბამისად.

6. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი):

6. 1. 1985 წლის ბოლომდე მოამზადოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების, თვალსაჩინოების, ავეჯის ნუსხა და უზრუნველყოს მისი ადგილებზე დაგზავნა;

6. 2. უზრუნველყოს სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული გამომთვლელი ტექნიკის შეკვეთა, მიღება და სკოლებზე გაცემა;

6. 3. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს გამოუყოს 1,5 ტონა საწერი ქაღალდი „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლების მეთოდიკური რეკომენდაციების დასაბეჭდად.

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე):

7. 1. სკოლების სამმართველოსთან ერთად შეიმუშაოს წინადადებები განათლების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ქვედანაყოფის შესაქმნელად სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა მუშაკების საერთო რაოდენობის ფარგლებში;

7. 2. მომარაგების მთავარ სამმართველოსთან ერთად მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ და ზონალურ ინსტიტუტებსა და ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატზე ცენტრალიზებული თანხებიდან გასცეს მიკროკალკულატორების კომპლექტები მასწავლებელთა გადამზადების კურსების საჭიროებისათვის.

8. მთავარმა გამოთვლითმა ცენტრმა (ამხ. გ. გვარამია):

8. 1. შეარჩიოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ, ზონალურ და საქალაქო ინსტიტუტებში მასწავლებელთა გადამზადების კურსებზე ლექციების კურსის ჩასატარებლად.

9. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა):

9. 1. ადგილებიდან მიღებული სიების მიხედვით განსაზღვროს გადასამზადებელ მასწავლებელთა ჯგუფების რაოდენობა, შეადგინოს გადამზადების გრაფიკი და დროულად დაუგზავნოს იგი სახალხო განათლების განყოფილებებს;

9. 2. უზრუნველყოს კვალიფიციური სპეციალისტების მივლინება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში და მათი მუშაობა წარმართოს კურსების სასწავლო-თემატიკური გეგმისა და პროგრამების შესაბამისად;

9. 3. მასწავლებელთათვის ტელეგადაცემათა გეგმის შედგენის დროს 1985—1986 სასწავლო წლიდან გაითვალისწინოს „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლების მეთოდიკის საკითხებზე ლექციების კურსი; გადაცემებისათვის შეარჩიოს კვალიფიციური სპეციალისტები;

9. 4. ა/წლის 15 ივლისამდე უზრუნველყოს „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლების მეთოდური რეკომენდაციების გამრავლება და ადგილებზე დაგზავნა:

9. 5. განათლების სამინისტროს მთავარ გამოთვლით ცენტრთან ერთად ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს საბაზო გამოთვლით ცენტრებსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და სკოლების გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტებს პროგრამულ-მეთოდური უზრუნველყოფის საქმეში

10. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) ქ. თბილისის 1-ლი, 27-ე და 53-ე საშუალო სკოლებს 1 ივნისამდე ცენტრალიზებული თანხებიდან შეუძინოს მიკროკალკულატორების თითო კომპლექტი.

11. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სა-

ხალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

11. 1. შეარჩიონ ფიზიკის ან მათემატიკის კვალიფიციური სპეციალისტები ყველა საშუალო სკოლასა და სკოლა-ინტერნატში „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლებისათვის; ა/წლის 20 მაისამდე მათი სახელობითი სია გადაუგზავნონ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ და ზონალურ ინსტიტუტებს;

11. 2. სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლებისათვის საჭიროების მიხედვით მოიწვიონ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების გამოთვლითი ცენტრების სპეციალისტები;

11. 3. უზრუნველყონ შერჩეული მასწავლებლების გადამზადების კურსებზე მივლინება მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მიერ მიცემული გრაფიკის მიხედვით;

11. 4. უზრუნველყონ სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ინფორმირება უფროს კლასებში ახალი საგნის სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით; ჩაატარონ საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობა;

11. 5. სისტემატური კონტროლი დააწესონ „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ მასწავლებელთა მუშაობაზე, საგნის სწავლებისათვის გათვალისწინებული საათების მიზნობრივად, მაქსიმალური უკუგებით გამოყენებაზე;

11. 6. დროულად დაიყვანონ სკოლებამდე ყველა მიღებული დადგენილება, სახელმძღვანელოები, მეთოდური ლიტერატურა, პროგრამები, საინსტრუქციო და მეთოდური წერილები, საგნის სწავლებისათვის გამოყოფილი სასწავლო ტექნიკა და მოწყობილობა;

11. 7. ყოველმხრივ განავითარონ სკოლებში კლასგარეშე მუშაობა გამოთვლითი ტექნიკის დაუფლების მიზნით, ფართოდ გამოიყენონ გამოთვლითი ტექნიკა მოსწავლეთა ტექნიკურ შემოქმედებაში, სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, პიონერთა სასახლეებსა და სახლებში, კლუბებში მოსწავლეთა მუშაობის დროს, ჩაატარონ ნორჩ ტექნიკოსთა კონკურსები და ოლიმპიადები გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით.

12. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლების მეთოდიკის კათედრის, ხოლო მასწავლებელთა დახელოვნების ზონალურ და საქალაქო ინსტიტუტებში — კაბინეტების, პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში — სექტორის შექმნის შესახებ.

13. ეთხოვოს:

— საქართველოს სსრ პოლიგრაფიის, გამომცემლობათა და წიგნით

ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. ვ. ბაქრაძე) ა/წლის 15 ივლი-სამდე „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სახელმძღვანელოს როტაპრინტზე გამრავლება სამინისტროს განაცხადში მოცემული რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების, „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლების საკითხები, აჩვენონ სკოლებისა და მათი საბაზო საწარმოს ერთობლივი მუშაობა გამოთვლითი ტექნიკის დანერგვის საქმეში.

14. ცნობად იქნას მიღებული, რომ:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის დადგენილებით სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც გამოთვლითი ცენტრები აქვთ, დაევალა შექმნან გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტები სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, თითოეული რაიონის 1-2 საშუალო სკოლაში IX-X (X-XI) კლასების მოსწავლეთა კომპიუტერებზე მუშაობის სწავლების მასობრიობისათვის, მათვე დავალებული აქვთ სკოლებში მოაწყონ სასწავლო კაბინეტები დისპლეებით მოსწავლეებთან მეცადინეობისათვის.

— უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დავალებული აქვს უნივერსიტეტებში, პედაგოგიურ და საინჟინრო პედაგოგიურ ინსტიტუტებში მოამზადოს ფიზიკის, მათემატიკისა და სხვა საგნების მასწავლებლები მეორე სპეციალობით „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“.

— ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს საწარმოებს დავალებული აქვთ მომსახურება გაუწიონ სკოლებში არსებულ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს.

— მასწავლებლებს, რომლებიც გამოთვლით ტექნიკას ემსახურებიან, მიეცემათ ხელფასის დანამატი: კაბინეტის გამგეებს — 10 მანეთი თვეში, გამოთვლითი ტექნიკის მომსახურებისათვის 5 მანეთი თვეში თითოეულ მოქმედ კომპიუტერზე.

15. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ სკოლებში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებისა და „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლების აქტუალური პრობლემები და მოწინავე გამოცდილება.

16. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

17. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება.

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

**„ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორთა კოლექტივი:**

გია გიორგის ძე გვარამია — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

კონსტანტინე აკაკის ძე დოკვაძე — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციულ-გამოთვლითი ცენტრის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ალექსანდრე აბრამის ძე ელიგულაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრის ინფორმატიკის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ვიქტორ ვალენტინის ძე ერისთავი — ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა სწავლების მეთოდიკის ლაბორატორიის გამგე

ივერი ვარლამის ძე ფრანგიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, აკადემიკოსი (სპეციალური რედაქტორი)

ზურაბ ირაკლის ძე ჩხაიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება

## ქ. ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის ტექნიკური შრომის მასწავლებლის ნ. ხაფავას მუშაობის გამოცდილების შესახებ

განიხილა რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ცნობა „ქ. ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის ტექნიკური შრომის მასწავლებლის ნ. ხაფავას მუშაობის გამოცდილების შესახებ“, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნას ქ. ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის ტექნიკური შრომის მასწავლებლის ნ. ხაფავას მუშაობა.

2. მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მათი მწარმოებლური შრომის საუკეთესოდ ორგანიზების მიზნით გაწეული დიდი მუშაობისათვის ნ. ხაფავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა) შრომის მასწავლებელთა საკურსო ღონისძიებების ჩატარების დროს ფართო პროპაგანდა გაუწიოს ნ. ხაფავას პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებას.

4. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ გამოაქვეყნონ მასალები ნ. ხაფავას მუშაობის გამოცდილებიდან.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება და ცნობა ნ. ხაფავას მუშაობის გამოცდილების შესახებ დაიბეჭდოს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## ქ. ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის ტექნიკური შრომის მასწავლებელ ნ. ა. ხაფავას მუშაობის გამოცდილების შესახებ

ნოდარ ამბროსის ძე ხაფავა, საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკი, 25 წელზე მეტია მუშაობს ქ. ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლაში ტექნიკური შრომის მასწავლებლად.

ნ. ხაფავას ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილება, მე-14 საშუალო სკოლისა და საბაზო საწარმოს — ქუთაისის ავტომშენებელი ქარხნის კოლექტივი იცნობენ, როგორც ნოვატორ მასწავლებელს, მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო და მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის საქმეში ახალი მეთოდიკური რეკომენდაციებისა და სტატიების ავტორს, ტექნიკური შრომის სწავლებისათვის თვითნაკეთი თვალსაჩინოების, საზომი და სამუშაო იარაღების შემქმნელს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო და მწარმოებლური შრომისა და კლასგარეშე მუშაობის ერთ-ერთ ორგანიზატორს, ტექნიკურ საკითხებში დიდად ერუდირებულ პედაგოგს.

ნ. ხაფავა ღრმად და საფუძვლიანად ფლობს საგანს, მას მაღალ ავტორიტეტს უქმნის ნათელი ტექნიკური აზროვნება, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მომთხოვნელობა, პუნქტუალობა, თავისი საქმისადმი გულწრფელი სიყვარული. ნ. ხაფავა თეორიული მასალის მარტო გადაცემით არ კმაყოფილდება, პრაქტიკულ საქმიანობას ორგანულად უკავშირებს საბაზო საწარმოს — საავტომობილო ქარხნის ტექნოლოგიურ მოთხოვნებს. ნ. ხაფავას მთელი პედაგოგიური მოღვაწეობა აგებულია თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, პოლიტექნიკური განათლებისა და სწორი პროფესიული ორიენტაციის განვითარებას.

ამხ. ნ. ხაფავა სკოლაში მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო, ნაყოფიერი და მწარმოებლური შრომის დანერგვის პირველი ინიციატორია. 1974 წელს მე-14 სკოლის დირექციამ ქუთაისის ავტოქარხნის ხელმძღვანელობასთან გააფორმა ხელშეკრულება, რის შედეგადაც ავტოქარხანამ სკოლას გამოუყო და დაუმონტაჟა სასწავლო საზეინკლო-დაზგები, სახარატო, სალარავი და ვერტიკალური საბურღი ჩარხები, მოამარაგა საზომი და მჭრელი იარაღებით, სამუშაო მასალებით და სხვა.

პირველ ეტაპზე პედაგოგი ქარხნიდან ნახევარფაბრიკატების სახით ღებულობდა სხვადასხვა დანიშნულების მარტივ დეტალებს, მოსწავლეები კი სახარატო და საზეინკლო დამუშავების შედეგად მას საბოლოო სახეს აძლევდნენ და საწარმოს დროულად აბარებდნენ დაკვეთას.

პირველი წლის დავალებები მოსწავლეებმა წარმატებით შეასრულეს. პედაგოგმა, მიაღწია რა ქარხნის კოლექტივის დიდ ნდობას, საფუძველი ჩაუყარა მოსწავლეთა შემდგომ პროფესიულ მომზადებას.

ნ. ხაფავა უნარიანად გეგმავს და წარმართავს მოსწავლეთა შრომითი სწავლების საზოგადოებრივ-სასარგებლო, ნაყოფიერი და მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის საქმეს. მისი უშუალო ინიციატივით სკოლაში კარგადაა მოწყობილი ლითონის დამუშავების სასწავლო საამქრო.

საამქრო შედგება სახარატო, საზეინკლო და სადარავი უბნებისაგან, სახარატო უბანზე დამონტაჟებულია 15 სასწავლო-სახარატო ჩარხი, ხოლო საზეინკლო უბანზე გამართულია 20 დაზგა, 3 ლითონმჭრელი, 4 ვერტიკალურად საბურღი და 6 სადარავი ჩარხი, საამქროში დაცულია უსაფრთხო მუშაობის წესები. სახელოსნო კარგად არის აღჭურვილი სამუშაო იარაღებით და სამარჯვებით, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით, სქემებით, ტაბულებით, ტექნიკური ნახაზებით, მოდელებით, ტექნოლოგიური რუქებით, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის ამსახველი პლაკატებით და სხვა.

საამქროში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სკკპ 26-ე ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მასალებს, სამეცნიერო და მეთოდურ ლიტერატურას.

ნ. ხაფავა გარკვეულ მუშაობას ატარებს მოსწავლეთა ეკონომიკური განათლებისათვის. პრაქტიკული მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები სისტემატურად ეცნობიან შესასრულებელი სამუშაოს ხასიათს, ტექნოლოგიას, თვითღირებულებას ,ხელფასის ფონდს და სხვა. საამქროში მოსწავლეები შრომობენ ბრიგადული მეთოდით. ბრიგადებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, შეჯიბრების მაჩვენებლებში გათვალისწინებულია ელექტროენერგიისა და მასალების ეკონომიკური ხარჯვა, უსაფრთხოების წესების, პირადი და საწარმოო ჰიგიენის დაცვა, პროდუქციის ხარისხი და სხვა.

სოცშეჯიბრის შედეგებს ყოველთვიურად აჯამებს კომისია, რომლის შემადგენლობაში მასწავლებელთან ერთად მოსწავლეებიც შედიან. ჯამდება შედეგები, ვლინდება გამარჯვებული ბრიგადები, გამარჯვებული ბრიგადისათვის დაწესებულია გარდამავალი ვიმპელი. წახალისების მიზნით საამქროში მოწინავე დაფაზე იმ მოსწავლეთა ფოტოსურათებია მოთავსებული, რომლებმაც მუყაითი შრომით წარმატებით შეასრულეს ქარხნის შეკვეთები.

ნ. ხაფავამ საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყო მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო და მწარმოებლური შრომის ანაზღაურება. სამუშაოს დამთავრების შემდეგ საამქროში აღირიცხება თითოეული მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქცია, საბაზო საწარმოო კი ვარგისი პროდუქციის რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა შრომის ანაზღაურებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგნის ღრმა ცოდნასთან ერთად ნ. ხაფავამ კარგად იცის, რომ მიზანს ვერ მიაღწევს შრომითი აღზრდის აქტიური მეთოდების გამოყენების გარეშე. მას მიაჩნია, რომ სწავლების მეთოდი — ეს არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ცნობიერებამდე შესასწავლი მასალის შინაარსის დაყვანის გზა და საშუალება. მისთვის კარგად არის ცნობილი ახალი მასალის ახსნის ბევრი სხვადასხვა მეთოდი. სასკოლო რეფორმის განხორციელების საქმეში მასწავლებელმა ერთ-ერთმა პირველმა დანერგა გაკვეთილზე ლექცია-სემინარული მეთოდი. იგი ყველა მეთოდს თავის შესაფერის ადგილს მიუჩენს ხოლმე, მაგრამ მას ძირითადად მაინც მოსწავლეთა დაინტერესება, მათში დამოუკიდებელი მუშაობის, კვლევის, ძიების უნარის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა მიაჩნია. ნ. ხაფავა თეორიული მასალის გადაცემისას დიდ ყურადღებას აქცევს სწორ და მწყობრ ლოგიკურ მსჯელობას, საუბრის ტემპს, ტონს, სწორ მეტყველებას, გაკვეთილზე ზომიერ მოძრაობას, ხაზვის მაღალ კულტურას. სწორედ ასეთი მუშაობით აღწევს იგი მოსწავლეთა ჩაბმას აქტიურ გონებრივ, შემოქმედებით მუშაობაში.

ნ. ხაფავას მუშაობაში მკვეთრადაა გამოხატული კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული აქტიური მშენებლის ჩამოყალიბების საქმეში მასწავლებლის წინაშე მდგარი ახალი ამოცანების ღრმა წვდომა: იგი შემოქმედებითად იყენებს საბჭოთა სკოლაში დამკვიდრებულ შრომითი სწავლებაში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების ტრადიციულ მეთოდებსა და ხერხებს, ახდენს მათ მოდერნიზაციას დღევანდელობის მოთხოვნების სრული შესაბამისობით.

ნ. ხაფავა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას სასწავლო წლის დაწყებამდე შეუდგება ხოლმე, ამოწმებს დამიწების ვარგისიანობას, ელექტროგამტარების იზოლაციას, საბაზო საწარმოს სპეციალურ სამსახურთან ერთად წესრიგში მოყავს საზეინკლო და სახარატო დაზგები, კლასების მიხედვით აკომპლექტებს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებს, იმარაგებს საზომ და სამუშაო იარაღებს, სათადარიგო ნაწილებს და სხვა. ამასთან ერთად კლასების შესაბამისად ადგენს წლიურ თემატიკურ გეგმას. მასში ჩვეულებრივ მარტო გაკვეთილის თემები, პრაქტიკული მუშაობის სახეები და ჩატარების თარიღები კი არ არის ჩამოთვლილი, არამედ მითითებულია თითოეული თემისათვის რა მეთოდური ლიტერატურის გამოყენებაა საჭირო, ჩამოთვლილია პრაქტიკული სამუშაოს ხასიათი. გარდა ამისა, ყოველი თემის გასწვრივ სპეციალურ სვეტში მითითებულია, თუ რა თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღის, მოდელის, ნახაზის, ცხრილის, გრაფიკის, ფილმის, დიაფილმისა და დიაპოზიტივის ჩვენებაა აუცილებელი გაკვეთილზე. ასეთნაირად შედგენილი თემატური გეგმა იძლევა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვის საიმედო გარანტიას.

ნ. ხაფავამ ავტოქარხნის ტექნოლოგიურ სამსახურთან ერთად შეისწავლა ავტომანქანისათვის საჭირო მარტივი დეტალების დამუშავების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნოლოგია, განსაზღვრა საზეინკლო, სახარატო, სალარავი და სხვა ისეთი სამუშაოები, რომელთა შესრულება კვალიფიციური მუშისაგან გარკვეულ დროს მოითხოვდა და უზრუნველყო მათი სკოლის საამქროში დამზადება.

ასეთი გზით მასწავლებელმა არა მარტო გაზარდა კვალიფიციური მუშის შრომის ნაყოფიერება, არამედ განსაზღვრა თითოეული კლასისათვის პრაქტიკული სამუშაოს ხასიათი და მჭიდროდ დაუკავშირა იგი საპროგრამო საკითხების სწავლებას.

პრაქტიკული სამუშაოები კლასების მიხედვით, შერჩეულია მოსწავლეთა ცოდნისა და მათი უნარ-ჩვევების მიხედვით.

მაგალითად: VI კლასში, როდესაც მოსწავლეები ეცნობიან ლითონის ხერხებით ქლიბითა და ლოჯით მუშაობის წესებს, მათ პრაქტიკული მუშაობისათვის ეძლევათ ისეთი დეტალები, რომელთა დამუშავებაც მოითხოვს ±0,1 მმ სიზუსტეს, ხოლო VII კლასში დამუშავების ხარისხთან ერთად იზრდება სიზუსტე +0,05 მმ-მდე, ასეთი თანმიმდევრობით IX კლასში მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ შეასრულონ II, ხოლო X კლასში III თანრიგის მქონე ზეინკლისათვის გათვალისწინებული სამუშაო.

ქარხნის დირექცია და ტექნოლოგიური სამსახური დაინტერესებას იჩენენ, რათა სამუშაო არ იყოს ერთფეროვანი, ამიტომ ყოველწლიურად იზრდება დაკვეთების ნომენკლატურათა რაოდენობა. წინა წელთან შედარებით ნომენკლატურათა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, ხოლო გამოშვებული დეტალების რაოდენობა 3-ჯერ, 1984 წლის პირველ ნახევარში საავტომობილო ქარხანას დაუმზადეს 24 დასახელების 375000 ცალი დეტალი, რომლის საერთო ღირებულება 75000 მანეთს შეადგენს.

ნ. ხაფავა შრომითი აღზრდის პროცესში დიდ ადგილს უთმობს საგანთა შორის კავშირს. საპროგრამო საკითხების სწავლებისას, კონკრეტული მაგალითების განხილვით არწმუნებს მოსწავლეებს, რომ მათემატიკის, ფიზიკის, ხაზვისა და სხვა ტექნიკური საგნების ცოდნა აუცილებელია მომავალი კვალიფიციური მუშისათვის. აგრეთვე საგნის მასწავლებელთან ერთად იხილავს ცალკეული კაბინეტისათვის საჭირო ხელსაწყოების დამზადების შესაძლებლობას, ამჟამად ფიზიკის, ქიმიისა და სხვა კაბინეტებში არსებული ხელსაწყო-იარაღების გარკვეული ნაწილი სკოლის სახელოსნოში მოსწავლეთა მიერაა დამზადებული.

ნ. ხაფავას ღრმად სწამს, რომ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს დიდად უწყობს ხელს კლასგარეშე და სკოლისგარე მუშაობა. ამიტომ იგი დიდი მონდომებით ეკიდება ამ საქმეში ძირითადი რგოლების — ტექნიკური წრის, ნორჩ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქმიანობას. წრის მეცადინეობებზე მრავალი ისეთი საყურადღებო ექსპონატია შექმნილი, რომლებმაც რესპუბლიკურ გამოფენაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული აღიარება ჰპოვა რაციონალური წინადადებით შექმნილმა ვერტიკალური საბურღი ჩარხის ორიგინალურმა კონსტრუქციამ. ჩარხი დამზადებულ იქნა წარმოების ნარჩენებისაგან და, რაც მთავარია, მისი დამზადება მოხერხდა სახელოსნოს პირობებში. ქ. ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის ნორჩ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საქმიანობის შესახებ მასალები გამოქვეყნდა 1982 წლის „შკოლა ი პროიზვოდსტვოს“ მესამე ნომერში.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად წინასწარ ადგენს წრის მეცადინეობებზე დასამუშავებელი თემატიკის საორიენტაციო სიას. წრის სხდომებზე განხილულ მოხსენებებში ნათლად ჩანს ტექნიკური სიახლეებისადმი მოსწავლეთა ღრმა წვდომის ტენდენცია. წინადადებები, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, დროისა და მასალების ხარჯვის ეკონომიას ითვალისწინებს, უშუალოდ მოსწავლეთა მიერაა მოფიქრებული და სწორად გადაწყვეტილი. წრის სარედაქციო კოლეგია ორ თვეში ერთხელ იხილავს დამუშავებულ მასალებს, საუკეთესო ნაშრომს აქვეყნებს კედლის გაზეთში „ნორჩი გამომგონებელი“. გაზეთში აგრეთვე, ხშირად თავსდება მასალები საავტომობილო ქარხნის მოწინავე მშობლებზე, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ტექნიკური წრის მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს შრომის საღამოების, ვიქტორინების მომზადება-ჩატარებას, წარმოების მოწინავეებთან შეხვედრებს, ქარხნის კონსტრუქტორებთან ერთობლივ მუშაობას და სხვა.

ამხ. ნ. ხაფავას დიდი წარმატებები აქვს სკოლის რეჟიმთან ძნელადშემგუებელ მოსწავლეებთან მუშაობის საქმეში. მათთან ინდივიდუალურმა მიდგომამ და წინასწარ დასახულმა ღონისძიებებმა მასწავლებლის მუშაობაში დადებითი შედეგი გამოიღო. ისინი საამქროში მოწინავეთა შორის ითვლებიან. მასწავლებელი კლასის ხელმძღვანელთა რეკომენდაციით სწორ ანალიზს უკეთებს თითოეული მოსწავლის თავისუფალ დროს და ცდილობს მაქსიმალურად ჩააბას ისინი მწარმოებლურ შრომაში. ბევრი ასეთი აღსაზრდელის გამოსწორების მაგალითი ახსოვს პედაგოგიურ კოლექტივს, რომლებიც ამჟამად წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას ქარხანაში.

ამხ. ხაფავას ენერგიულმა შრომამ და საქმისადმი ახლებურმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ საავტომობილო ქარხნის საკვალიფიკაციო კომისია მესამე წელიც მუშურ კვალიფიკაციას ანიჭებს სამ პროფესიაში (ზეინკალი, ხარატი, მღარავი) ამ სკოლის ვაჟებს. მუშური თანრიგები კი საკმაოდ მაღალია III და IV. 1981 წლიდან 135-მა კურსდამთავრებულმა ატესტატთან ერთად მუშური პროფესიის დამადასტურებელი მოწმობა მიიღო.

ეროვნული

ნ. ხაფავას ხელმძღვანელობით სკოლის სახელოსნოსთან 9 წელია ფუნქციონირებს შრომისა და დასვენების ბანაკი „მეგობრობა“, რომელიც არდადეგების პერიოდში მხოლოდ ავტოქარხნის დაკვეთებზე მუშაობს. ბანაკი ყოველწლიურად აღებულ ვალდებულებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ამასთან ერთად, ბანაკში 20 მოსწავლისაგან შექმნილია სპეციალური ბრიგადა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს ჩარხებისა და მოწყობილობების შეკეთებას, აღადგენს საჭრელ და საზომ იარაღებს, სკოლის დაზიანებულ ავეჯსა და სხვა. ბრიგადის მიერ 1983—1984 სასწავლო წელს შესრულებული იქნა 13452 მანეთის სამუშაო.

პედაგოგი აქტიურ პროპაგანდას უწევს საავტომობილო ქარხნისათვის საჭირო ძირითად მუშურ პროფესიებს. ქარხნის საამქროებში მის მიერ დაგეგმილი ექსკურსიები მიმზიდველია და მოსწავლეთათვის შინაარსიანს ხდის ქარხნის ცხოვრებას. ისინი ეცნობიან წარმოების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს, მუშათა კლასის შრომისა და კულტურული დასვენების პირობებს, საუბრობენ დამრიგებლებთან, ეცნობიან მათს საწარმოო მიღწევებს და სხვა.

ნ. ხაფავას ენერგიული და შემოქმედებითი მუშაობის შედეგია ის, რომ 1980 წლიდან ამ სკოლის 186 კურსდამთავრებული, ანუ 47% საავტომობილო ქარხანაში კვალიფიციურ სპეციალისტად მუშაობს.

ამხ. ნ. ხაფავა წლების განმავლობაში მონდომებით ეწევა მასწავლებლებთან მეთოდურ მუშაობას. მისი საუბრები, რჩევა-დარიგებები რეფორმის შუქზე მეტად საინტერესო და ნაყოფიერია, სისტემატურად მონაწილეობს პედაგოგიურ კითხვებში. 1985 წელს რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვაზე წარდგენილი თემა „პროფორიენტაციული მუშაობა სკოლის სახელოსნოში და მისი შედეგები“, რომელიც დაფუძნებული იყო პირად გამოცდილებაზე, მოწონებულ იქნა და გაიგზავნა საკავშირო პედაგოგიურ კითხვებზე.

მასწავლებლის მუშაობის შესახებ დაიბეჭდა მასალები ადგილობრივი და რესპუბლიკური გაზეთების 42 ნომერში, ჟურნალ „შკოლა და პროიზვოდსტვოში“, „პიონერში“. საკავშირო რადიომ ორჯერ გადასცა ნარკვევი მისი საქმიანობის შესახებ. ცენტრალურმა ტელევიზიამ გადაიღო სახელოსნოში მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის პროცესი და სხვა.

ქ. ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის პედგოგიურმა კოლექტივმა საბაზო საწარმოსთან ერთად შეიმუშავა რა „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების“ განსახორციელებლად ღონისძიებების 1985—1990 წლების კომპლექსური გეგმა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის გაუმჯობესების საკითხებს. დადგენილია სასწავლო-საწარმოო საამქროსათვის სათავსოს გაფართოების მიზნით მიმდინარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს ჩატარდეს რეკონსტრუქცია, მისი აღჭურვა მაღალმწარმოებლური ჩარხებითა და დანადგარებით, ხოლო 1985—1986 სასწავლო წლიდან არსებულის ბაზაზე შეიქმნას სკოლა-ქარხანა, რომელიც შრომითი აღზრდის გაუმჯობესებასთან ერთად მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მოსწავლეთა თვითმმართველობის როლის ამაღლების საქმეში.

ამასთან ერთად, დაგეგმილია შეკვეთების ნომენკლატურის მკვეთრი გაზრდა, VI—VII კლასებში მწარმოებლური შრომის გაფართოება-გაუმჯობესება, უნიკალურ პროფესიებში, — მჭრელი და საზომი იარაღების რესტავრატორის, ელექტროშემდუღებლის, მტვიფრავისა და ავტომატების ოპერატორების მომზადება, მათივე კონსტრუქციით შექმნილი ვერტიკალური საბურღი ჩარხის სერიული გამოშვება და სხვა.

ნ. ხაფავა იმედოვნებს, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უფრო ნაყოფიერს გახდის შემდგომ საქმიანობას, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერი და მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეს.

**სკოლების სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება

### სახვით ხელოვნებაში სახელმძღვანელოების შემქმნელ ავტორთა კოლექტივის დამტკიცების შესახებ

განიხილა რა აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი წინადადებები სახვითი ხელოვნების 1-ლი კლასის სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოს შემქმნელ ავტორთა კანდიდატურების შესახებ, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს მეთაურ ავტორად ოლეგ გურგენის ძე ალავიძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

2. დამტკიცდეს თანაავტორებად:

ა) ნელი რუბენის ასული მგელაძე — 56-ე საშუალო სკოლის სახვითი ხელოვნების მასწავლებელი;

ბ) უშანგი პავლეს ძე ლონდარიძე — 1-ლი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის სახვითი ხელოვნების მასწავლებელი.

3. მეთაურმა ავტორმა (ო. გ. ალავიძე):

ა) გაუკეთოს ღრმა ანალიზი ამჟამად მოქმედ პროგრამებს სახვით ხელოვნებაში და მიმდინარე წლის 15 მაისისათვის წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი მათში საჭირო ცვლილებების შესატანად;

ბ) სახელმძღვანელოების მზა ორიგინალები განათლების სამინისტროში სარეცენზიოდ და განხილვისათვის წარმოადგინოს 1985 წლის მაისის ბოლომდე;

გ) გააგრძელოს მუშაობა მომდევნო კლასებისათვის (II—VI) ანალოგიური სახელმძღვანელოების შესადგენად.

4. აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ:

ა) უზრუნველყოს ავტორთა კოლექტივი შემდგომ მუშაობაში მათთვის საჭირო პროგრამებით ამჟამად მოქმედი შესაბამისი კლასების ორიგინალური და უნიფიცირებული სახელმძღვანელოებით.

5. სახელმძღვანელოების სამმართველომ უზრუნველყოს სახვითი ხელოვნების სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოს (I კლასებისათვის) გამოცემა 1987 წლის 1 სექტემბრისათვის.

6. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. მ. დ. დარჩიას.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


გადაწყვეტილება — მახარაძის რაიონის მოსწავლეთა თაოსნობის შესახებ . . . 3

დადგენილება — საკრებულო ქართული ენის საუნჯის მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩატარების შესახებ . . . . . . . . 5

ბრძანება № 230 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ადმინისტრაციული სახლის სამმართველოს შექმნის შესახებ . . . . . . . 13

გადაწყვეტილება — ნორჩ კინომოყვარულთა მე-4 რესპუბლიკური ფესტივალის „თბილისური აისის“ ჩატარების შესახებ . . . . . . . 15

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებისა და დანიშნულებით გამოცხადების მდგომარეობის შესახებ . . 17

გადაწყვეტილება — ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა გამოვლენის, აღრიცხვისა და სწავლაში ჩაბმის მიზნით სახალხო განათლების ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ . . . . . . . . . 20

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამდებობათა ნომენკლატურის შესახებ . . . . . . . . 24

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ნომენკლატურული კადრების რეზერვის დებულების შესახებ . . . . . 34

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სამეურნეო ორგანიზაციების 1984 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . 42

Постановление — о проведении X республиканских туристских соревнований и смотра оборонно-массовой работы пионеров и школьников Грузинской ССР посвященных 40-летию Победы советского народа в Великой Отечественной войне . . . . . . . . . 64

ბრძანება № 247 — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის დადგენილების „საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებათა თაობაზე“ განხორციელების შესახებ . . . . . . . . . . 64

გადაწყვეტილება — ქ. ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის ტექნიკური შრომის მასწავლებლის ნ. ხაფავას მუშაობის გამოცდილების შესახებ . . . . 70

გადაწყვეტილება — სახვით ხელოვნებაში სახელმძღვანელოების შემქმნელ ავტორთა კოლექტივის დამტკიცების შესახებ . . . . . . . 73